№ 236
კვირა, 29 ოქტომბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 236
კვირა, 29 ოქტომბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სა-მკერვალოში

მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკე მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფებითა და ნაჭრობით.

მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

(50—ნ.—41)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана**.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

1900 წლის 22 ოქტომბერს შესდგა პირველი საზოგადო კრება ივანე ალექსანდრეს ძის თაიროვისა, კონსტანტინე მიხეილის ძის ალიხანოვისა და ძმათა ედუარდ და ჰენრიხ ტოლლეთა მიერ დაარსებულ ერზოსი, საპნისა და სანთლის მკეთებელ ქარხანათა სააქციონერო საზოგადოებისა, რომელიც წინად თაიროვისა, ალიხანოვისა და ტოლლესი იყო". გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი ივანე ალექსანდრეს ძე თაიროვი, საფრანგეთის მოქალაქე ჰენრიხ ავგუსტის ძე ტოლლე, ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი ბოლდანის ძე ტერ-ასატუროვი. კანდიდატად: აზნაური გრიგოლ სოლომონის ძე აკიმოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ე. ე. აკიმოვი, მ. მ. ბერესი, ვ. ბ. პოპოვი.

გამგეობის თავმჯდომარე ი. თაიროვი.

გამგეობის წევრნი: ჰ. ტოლლე, გ. ტერ-ასატუროვი.

(2—217—1)

სა ჭ ი რ ო ა

## მოსამსახურე-ბიჭი

12—13 წლისა. იკითხონ „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21.

(4—უ.—3)

# ახალი ამბავი

*** გაზ. „ცნობის ფურცელი“ სწერს: „ცნობის ფურცლის“ რედაქციას შემდეგი დეპეშა მოუვიდა პეტერბურგიდგან ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს უფროსისაგან: „გაზეთ „ცნობის ფურცლის“ შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. საცენზურო კომიტეტს გაეგზავნა მიწერილობა.

თავადი შახოვსკოი“

როგორც იციან ჩვენმა მკითხველებმა, „ცნობის ფურცელი“ შუამ-

# ფელეტონი

## წყარო და ზვირთი

(ლონგოფელოდგან)

მშობლიურს კლდიდგან ანკარა წყარო
გამოდის, წყნარად გამოჩუხჩუხებს,
ვერცხლის ფრად ოქროს ფერსა ქვიშაზედ
მიდის საამოდ და მიწანწკარებს.
შორს მაზედ ზვირთი ოკეანეში
დიდსა სივრცეზედ დაექანება,
ხან მშფოთვარ ზღვასთან ერთადა ჰღელავს,
ხან მწუხარებით ზედ ენართხება.
მიდიოდა რა ასე წინ-წინა,
ანკარა წყარო ზვირთს შეეყარა
და მისი გული აღშფოთებული
თვისის ცივის წყლით მან დააწყნარა!

ი. ბაქრაძე

## სიცრუის ხელოვნება

მარკ ტვენისა

(წარდგენილი იყო სწავლულთა საზოგადოების კრებაზედ, მაგრამ ჯილდოს ღირსად არ იქმნა ცნობილი)

უპირველესად ყოვლისა არა მგონია, რომ ჩვეულებრივმა სიცრუემ რაიმე გარემოებისა გამო სრულს დაცემა-დავიწყებამდე მიაღწიოს, რადგან იგი როგორც კეთილ-მყოფელი დედა-აზრი უკვდავია. სიცრუე განცხრომა-შექცევაა... იგი გაჭირვების თავ-საფარია, მეოთხე სიტურფეა, მეათე მუზაა და ადამიანის საუკეთესო, უერთგულესი თანამავალია. სიცრუე უკვდავია და შეუძლებელია იგი დედამიწის პირიდგან აღიგავოს, ვიდრე არსებობს თუნდა აწინდელი პატივცემული საზოგადოება. ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ მე მაინც ვწუხვარ სიცრუის ხელოვნების დროებით დაცემის გამო. არც ერთს ღირსშესანიშნავს კაცს, არც ერთს ადამიანს, რომელსაც-კი გული თავისს ალაგას უცემს, არ შეუძლიან აწინდელს მოუხეშავს, უგემურს უბედობას გულ-გრილად უცქიროს და გულწრფელად არა სწუხდეს, რომ ისეთი უმაღლესი ხელოვნება, როგორიც სიცრუეა, დღეს ასე დამცირებულია.

აშკარაა, ამ მრავალ მცოდნე საზოგადოების წინ რა კრძალვით ვიწყებ ამ საგნის გამო საუბარს. ჩემი ყოფა ემსგავსება საქციელს იმ მოხუცის ქალისას, რომელიც ებრაელთა პატივცემულ დედას შვილების მოვლის სწავლებას მოუსურვებდა. მე სრულიად არ შემფერის, ბატონებო, თქვენის ავ-კარგიანობის განხილვა, რადგან თქვენ თითქმის ყველანი წლოვანობითაცა და ამ საგნის შესახებ გამოცდილებითაც უფროსნი ხართ. მაინც და მაინც თუ ჩემის სიტყვის ამა თუ იმ ადგილმა თქვენზედ არა სასიამოვნოდ იმოქმედოს, იგი უნდა აიხსნას ჩემის თავ დავიწყებით და არა თქვენის განკიცხვის სურვილით.

მართლაც-და, ამ ყველა მშვენიერთა შორის უმშვენიერესს ხელოვნებას ყველგან რომ ისეთივე პატივისცემა, ქება, მოფიქრებული ზრუნვა და მოთხოვნილება ჰქონდეს, როგორც ამ საზოგადოებაში, მაშინ მე ნება არა მქონდა მის გამო გული ამტკივნოდა და ერთი ცრემლი მაინც არის ჩამომეგდო. ამას, თქვენი პატივისცემა კი არა, საზოგადო „სიმართლის მოყვარეობა და გულწრფელობა მათქმევინებს. (აქ მინდოდა რამდენიმე შესანიშნავი კაცი დამესახელებინა და თვალ-საჩინო მაგალითები მომეყვანა, მაგრამ კრებაში შენიშნულმა მოძრაობამ მამცნო, რომ დაწვრილებითის ახსნის მაგიერ ერთობილი მოსაზრებანი გამომეთქვა).

ცხოვრების არც ერთი მოვლენა არ არის ისეთი მკვირდ-საფუძვლიანი, როგორიც ის, რომ სიცრუე აუცილებელი შედეგია ჩვენი ურთიერთის დამოკიდებულებისა. ამასთან ისიც უტყუარია, რომ ეს შედეგი არის ჩვენი სათნოება და სხვა არა რა.

არც ერთს სათნოებას არ შეუძლიან ჯეროვანი ზრდა-განვითარება-გავრცელება, თუ მას შესაფერი მზრუნველობა და თავ-დადებული ცდა არა აქვს. ამიტომ საჭიროა სიცრუის დამკვიდრებისა და გასავრცელებლად ჰზრუნავდნენ სასწავლებლები, ოჯახები და თვით მწერლობაც-კი. რა გარჩევა გაუნათლებელ გამოუცდელ და კარგს სასწავლებელში გაწვრთნილ ცრუთა შორის? რა შესადარებელნი ვართ, მაგალითად, მე, ბატონი პერ... და ვექილი?.. სიცრუე ქვეყნიერობისათვის საჭიროა ისევე, როგორც ადამიანისათვის პური არსებობისა. ხანდახან აზრად მომდის ხოლმე, რომ უკეთესი და ჯან-მრთელობისათვის მარგებელი იქნებოდა, ადამიანმა სრულიად არ იცრუოს, თუ ჯეროვანად არ იცის იგი. მოუხეშავი, განუვითარებელი სიცრუე ხშირად ისევე უსარგებლოა, როგორც ყოველთვის სიმართლე. აბა ეხლა ყური დავუგდოთ ამ საგნის შესახებს ფილოსოფოსთა აზრს. მიაქციეთ ყურადღება ცნობილს ანდაზას: „ბავშვნი და სულელნი ყოველთვის მართალს ამბობენო“. შედეგი ნათელია: მოზრდილნი და ბრძენნი მართალს არასოდეს არ ამბობენ. ისტორიკოსი პერკმანი განმარტებს, „სიმართლის სიდიადემ შეიძლება სისულელემდე მიაღწიოსო“. მეორე ალაგას იგივე პერკმანი ამბობს: „კარგა ხანია, რაც საზოგადო წესად შემოვიდა, რომ სიმართლე ყოველს დროს კარგი არ არის, და ხალხი, რომელიც თავ-დავიწყებამდე გატაცებული სიმართლისაკენ მიისწრაფის და ჩვეულებისა გამო ხშირად არღვევს მას, ჩერჩეტი და შეუსაბამო სულელია“. სასტიკად არის ეს ნათქვამი, მაგრამ ჭეშმარიტება-კია.

ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ შესძლებდა ცხოვრებას იმ ადამიანთან, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის მართალს ჰლაპარაკობს, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ეს წამება ყველას აშორებული გვაქვს. ყოველთვის მხოლოდ მართლის მოლაპარაკე ადამიანი მოჩვენებაა, ნამდვილად იგი არ არსებობს და არც ოდესმე არსებობდა.

შეგხვდება, რასაკვირველია, ადამიანი, რომელიც ჰფიქრობს, რომ არასოდეს არა ვსცრუობო, მაგრამ ნამდვილად-კი ეს შეუძლებელია. სწორედ ეს თვით-ცდომა ეკუთვნის უვიცობის იმ დარგს, რომელიც არცხვენს და სჩრდილავს ესრედ წოდებულს განათლებას. ყველა ადამიანი სცრუობს წინად მოფიქრებით ყოველ დღე, ყოველ საათს, ხალხთან და მათ გარეშე, ოცნებით, სიხარულის თუ მწუხარების დროს. თუ ენა უმოქმედოდ არის, სულ ერთია, ცრუობენ მისი ხელები, თვალები, ფეხები და თვით მთელის მისის სხეულის მდგომარეობაც კი თვით ქადაგების დროსაც კი... მაგრამ ეს ხომ...

იმ შორეულს ქვეყანაში, სადაც ოდესღაც ვცხოვრობდი, ქალებს ჩვეულებადა ჰქონდათ ერთმანეთთან სადარბაზოდ მისვლა, ვითომდა ერთმანერთის ნახვისა და გატაცებული კაცთ-მოყვარეობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად. დარბაზობიდგან დაბრუნებული ქალები სიხარულით ამბობდნენ:

— სადარბაზოდ 16 ალაგას ვიყავით და 14-ნი შინ არ დაგვიხვდენ. შეუძლებელი იყო გამოგპარვოდათ მათის სიტყვების მხიარული და კმაყოფილებით სავსე კილო. ამ გვარად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგომლობდა პროგრამმის გაფართოვებას. დაწვრილებით ამ დღეებში გამოვაცხადებთ პროგრამმას და აგრეთვე იმასაც, თუ როდის და რა პირობებით დავიწყებთ ჩვენი გაზეთის გამოცემას გაფართოვებულის პროგრამით.“

⁂ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება კვირას, 5 ნოემბერს მოხდება.

⁂ დღეს, 12 საათზედ, სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა სადგომში ავჭალის ქუჩაზედ ქართული კონცერტია დანიშნული.

⁂ როგორც შევიტყეთ, ივ. როსტომაშვილის ახალი ჟურნალი „მოგზაური“ შემდეგის პროგრამით გამოვა იანვრიდგან: 1) მოგზაურობანი, აღწერილობანი, მოთხრობები, ლექსები, პოემები, გადმოცემანი და სხ. საეთნოგრაფიო, საგეოგრაფო და საისტორიო-საარქეოლოგო შინაარსისა, სურათებითურთ; 2) მეთაური წერილები აღნიშნულ საგნების შინაარსის შესახებ; 3) ცნობები კერძო კაცთა და საზოგადოებათა მოქმედების შესახებ რუსეთში და საზღვარ გარედ (იმავე შინაარსისა); 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (იმავე შინაარსისა; 5) ნარევი (იმავე შინაარსისა); 6) დამატებანი (პროგრამის შინაარსიდგანვე) და 7) ყოველგვარი განცხადებანი.

ჟურნალი ყოველთვიური იქმნება, გამოვა 16—64 გვერდამდე, ფორმატი „ჯეჯილისა“ ექმნება და წლიურად ეღირება 5 მან., ხოლო ნახევარის წლით—3 მან. როგორც თითონ ბ-ნმა როსტომაშვილმა გადმოგვცა, სურათები ჟურნალში ფოტოტიპიით იქმნება გამოყვანილი.

ეჭვი არ არის, შინაარსი ხელს შეუწყობს, რომ ჟურნალმა ფეხი მოიმაგროს, რადგანაც შესაფერი მასალა ფრიად მრავალი მოიძებნება ჩვენში, თუ რომ რიგიანად გამოსცა და არა ისრე, როგორც დღემდის სჩვევია ჩვენს დასურათებულს ჟურნალ გაზეთებს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა სასწავლებელთა კომისიის დადგენილება ქალაქის სასწავლებელთათვის ქართულს და სომხურს ენაზედ სადმრთო სჯულის მასწავლებელთა არჩევნის შესახებ და დაადგინა სთხოვოს სახალხო სკოლების ინსპექტორს, რომ სასწავლებელთა კომისიის მიერ არჩეული მასწავლებლები დაამტკიცოს და საეპარქიო მთავრობასთან იშუამდგომლოს კომისიის მიერ არჩეული სამღვთო სჯულის მასწავლებლები ამ თანამდებობაზედ დაამტკიცონ.

⁂ ორშაბათს, 30 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად საქმე თ. შიხი ტუსიშვილისა, ვლ. ბარათაშვილისა, გიორგი ოსიტაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვისა, რომელთაც 1898 წ. აზნაურის გაბაშვილის მოკვლა ჰბრალდებათ.

⁂ კავკასიის სამხედრო შტაბის სამხედრო საისტორიო განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ვ. ა. პოტტო ზოგიერთ ისტორიულ საბუთების განსახილველად ამ დღეებში პეტერბურგს მიდის.

⁂ დღეს, 29 ოქტომბერს, ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი გორისა ანჩის-ხატის ტაძარში ბრძანდება მწირველი. წირვაზედ იგალობებს ქართული გუნდი ბ-ნის კარგარეთელის ლოტბარობით.

⁂ ამ დღეებში ოზურგეთიდგან ამბავი დაიბეჭდა „ივერიაში“, რომ იქაურის ფერშლის ბესარიონ კალანდაძის სახლს ცეცხლი წაეკიდაო; ცეცხლი დროზედ ჩაქრეს, მაგრამ ბესარიონის მეუღლე, სონა ბებურიშვილისა, იქამდის შეშინდა, რომ ჰკუიდგან შეიშალაო. როგორც ახლა გვაცნობებს ერთი მახლობელი ნათესავი ს. ბებურიშვილისა, ეს ამბავი სიმართლეს სრულიად მოკლებული თურმე, კალანდაძის სახლს ცეცხლი არ წაჰკიდებია, მისი მეუღლეც უვნებლადა და საღად არის და კორესპონდენტს, სამწუხაროდ, შეცდომაში შევუყვანივართ.

⁂ განზრახვა აქვთ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორი ტფილისიდგან მცხეთაში გადაიტანონ.

⁂ 29 ოქტომბერს ამიერ კავკასიის რკინის გზის სარევიზიოდ მთავრობის მიერ დანიშნული კომისია მოდის ინჟენერის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით.

⁂ შემდეგი ცნობები მოსთხოვა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ახლად დაარსებულ „ღრმა-ღელეს“, „პოსადად“ გადაკეთების შუამდგომლობისა გამო, ტფილისის მაზრის უფროსს: 1) რამდენი მცხოვრებია „ღრმა ღელეში“, რა ხელობას მისდევენ და სად არიან მიწერილნი; 2) რა მდგომარეობაშია აქ აღებ-მიცემა და 3) რა უძრავი ქონება აქვს, რა ღირს და რა შემოსავალი მოაქვს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა შუამდგომლობა აღძრა, რომ უფლება მიეცეს მას მეეტლეებს 5-5 მანეთი ჯარიმა გადაახდევინოს ხოლმე, როცა რაიმე დანაშაულობასა ანუ უწესობაში იქმნებიან შენიშნულნი.

⁂ გუშინ წინ, 27 ოქტომბერს, ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა თავისს სამმართველოში შეჰკრიბა ყველა პოლიციის ბოქაული და გამოუცხადა, დაავალონ ყველა სახლის პატრონებს, რომ ვისაც სახლის წინ ქვა-ფენილი არა აქვს დაგებული, დაუყოვნებლივ გააკეთონ, თვალ-ყური ადევნონ ქუჩის გლახებს, მათხოვრობა აღუკრძალონ და საზოგადოდ მათხოვრობის მოსასპობლად ყოველი საშუალება მიიღონ და სხ.

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ე სწერს, რომ განზრახვა აქვთ ტფილისში სამრევლო საეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელ კაცთა და ქალთა საზოგადოება დააარსონ. საზოგადოებას აზრადა აქვს საზოგადო კრებაზედ ერთმანეთ შორის აზრთა გაზიარებით მასწავლებელთ საშუალება მისცენ მსჯელობა იქონიონ სწავლის მეთოდზედა და საზოგადოდ სხვა და სხვა საპედაგოგო კითხვები გარდასწყვიტონ. გარდა ამისა, პროგრამაში შეტანილია გამართვა სასულიერო-ზნეობრივ საუბართა, სახალხო სასულიერო კონცერტების, სახალხო წიგნთ-საცავის გახსნა, სახალხო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა, როგორც რუსულს, ისე ადგილობრივს ენებზედ. მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა მოსამზადებლად საზოგადოებასთან ამრევლო-საეკკლესიო სკოლა იქმნება დაარსებული. დრო-გამოშვებით გაიმართება საპედაგოგო კურსები, სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთა კრება და სხ. საზოგადოების პროექტს უკვე ამზადებენო.

⁂ ჟურნალი „არარატი“ იუწყება, რომ არხიმანდრიტს ხაჩიკს სომეხთა წმინდა-გიორგის მონასტრის ნანგრევთა თხრის დროს აღმოუჩენია ლურსმულ და სხვა წარწერათა ქვები სომხურსა, ბერძნულსა, ქართულსა, რუსულსა და არაბულს ენებზედ.

⁂ სოფ. რეკა, (სენაკის მაზრა). ამას წინად აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ამავე სოფლის მცხოვრებს ერთს გლეხს ცოლი ავად გაუხდა; ქალი რამდენიმე დღე ლოგინად იწვა. როგორც აქ იციან ავადმყოფის ღამის თევა, რამდენიმე ქალი და კაცი მოსულა ავადმყოფის გასამხიარულებლად. ნაშუაღამევს თურმე გადასცილდა. ღამის მთევლთ ყველას მიეძინა. ავადმყოფი ქალი ამდგარა, დაუთვალიერებია ღამის მთევლები და რომ უნახავს, ყველა ღრმა ძილშიაო, აუთვალ-ჩაუთვალიერებია, უნახავს ერთი გრძელი პირსახოცი, ჩუმად აუღია, ფეხ აკრებით გასულა გარედ და მახლობელს ხეზედ თავი ჩამოურჩვია. მეორე დღეს იქ მყოფთ, თავისდა განსაცვიფრებლად, ხეზედ ჩამოკიდებული მკვდარი ქალი და ნახეს. ამ ამბავმა ყველა იქ მყოფი დიდად შეაწუხა. აღმოჩნდა, რომ ქალს იმ დროს დიდი სიცხე ჰქონია და იმის გამო ჩაუდენია ეს საქმე.

აქეთ წელს ძალიან ნაკლები მოსავალი მოვიდა ჭირნახულისა.

## წერილი სამეგრელოდგან.

საზოგადოდ წრევანდელი წელიწადი სამეგრელოს მეურნეთათვის სასიხარულო არ იყო. სწორედ იმ დროს, როდესაც ჭირნახული უნდა დათესილიყო, ხან ერთობ გამუდმებით გვალვები იდგა, ხან და ხშირი წვიმები მოდიოდა, რამაც ხვნა თესვა ძლიერ შეაფერხა. როგორც იყო, ძლივს-ძლივობით მარცვალი მიწას მიაბარეს და, ის იყო, ჭირნახული გამარგვლას ითხოვდა, რომ ამ დროს ცამ ვეშაპივით პირი დააღო, მოუშინა ხშირი წვიმები და ყოველივე გადარეცხა, წალეკა. ასე გაიარა მთელმა ივლისმა და ამის გამო უმეტესი ნაწილი ყანებისა გაუმარგვლელი დარჩა. შემდეგ ყანებს ბალახი მოერია და ვაი-ვაგლახით ნათესი ყანები მოსცდა. რაც გაიმარგლა, ისიც გამარგლულს არ ჰგავდა, რადგანაც ისევ წვიმები აცოცხლებდა გამარგლულ ყანებში ბალახსა. გათოხნილ თუ გაუთოხნელ ყანების ბა-

---

ნახვის მალული სურვილი იმ 14 და ორის სხვისა, რომლებთანაც უფრო მცირედი სიამოვნება იგრძნეს, სხვა არაფერია, თუ არ ჩვეულებრივი, დატრაბახებულ სიცრუის დარგი. იგი სიმართლის აცდენაა, მაინც-კი დანაშაულად არავის ეჩვენება. ან რაა აქ დანაშაული? ასეთი სიცრუე საუკეთესო და კეთილშობილურია, რადგან მისი საგანი, რაიმე პირადი სარგებლობა კი არა, იმ 16-ის გართობაა... თავ-აღებული და მართლის მიმდევარი ნათლად აგრძნობინებდა, შეიძლება ხმა-მაღლაც-კი ეთქვა, რომ მისთვის არაფრად სასიამოვნოა ამის და იმის ნახვა. ამით, რასაკვირველია, როგორც ნამდვილი ჯორი, იმათ აწყენინებდა და თავისს თავსაც არავითარს სარგებლობას მოუტანდა. იმავე ქალებს ჩვეულებათა ჰქონდათ კიდევ, მაგრამ... ერთის სიტყვით, ისინი სარგებლობდნენ სასიამოვნო ტყუილების ათასგვარ დარგით, რაც იმათ კეთილშობილურს მისწრაფებასა და სრულს ღირსეულებას ამტკიცებდა. დაწვრილებით განხილვას თავს ვანებებ. იმავე ქვეყნის მამაკაცები და ყველანი ცალ-ცალკე ცრუები იყვნენ. იმათ ჩვეულებრივ შეკითხვის დროს: „როგორა ხარო?“ სიცრუე ნათლად იხატებოდა. მართლაც-და ისინი სრულიად არა საჭიროებდნენ, თუ ვინ როგორა ჰგრძნობდა თავისს თავს, რასაკვირველია, თუ იმის მკითხავი საფლავის მთხრელი არ იყო...

ამ ჩვეულებრივ შეკითხვას პასუხადაც, რასაკვირველია, ჩვეულებრივი სიცრუე მოსდევდა, რადგან შეკითხვის დროს თვის ჯან-მრთელობის ავ-კარგიანობას არავინ ითვალისწინებდა, პასუხს უცბად ეუბნებოდა და უეჭველად სცრუობდა. საფლავის მთხრელიც-კი სტყუოდა, როცა ამბობდა: „მგონი ყველას მალე მოეღება ბოლოო“. ასეთი სიცრუე მეტად სანაქებოა, რადგან მთქმელს არაფრად უღირდა და მსმენელს-კი ძლიერ ასიამოვნებდა.

სტუმრად მისული სადმე რომ უდროოდ შეეხეტებოდა და საქმეს შეუშლიდა ხოლმე, მაინც გულით მიეგებებოდნენ: „ძლიერ სასიამოვნოაო“, თუმცა-კი ამ დროს ჰფიქრობდნენ: „რა კარგი იქმნებოდა, რომ შენ ადამიანთა მჭამელთა შორის მოხვდე და ეხლა სწორედ იმათი სადილობის დრო იყოსო“... როცა სტუმარი წამოსასვლელად მოემზადებოდა, მასპინძელი შეწუხებულისა და ნაწყენის სახით ეკითხებოდა: „ნუ თუ წასვლას აპირებთ?“ თან უმატებდა: „არ დაგვივიწყოთ, ხშირად შემოიარეთ ხოლმეო“... ყველა ეს არავის ავნებდა, რადგან მოტყუებული არავინ რჩებოდა, მაშინ როდესაც მართალი სტუმარ-მასპინძელს მხოლოდ უსიამოვნებას მიაყენებდა... ვფიქრობ, რომ ასეთი „ზრდილობიანი სიცრუე“, როგორც კეკლუცი და სასიამოვნო ხელოვნება, უეჭველად უნდა განვითარდეს, რადგან თვით უმშვენიერესი და უწმინდესი ზრდილობა არის ის შენობა, რომელიც საძირკვლიდგან მოკიდებული სახურავამდე აშენებულია თავგანწირულ სიცრუის მიერ გასუმბუქებულ და შევარაყებულ აგურით. ჩემი წუხილი გამოიწვია ამ უკანასკნელს დროს სიმართლის აღორძინება-გაფართოვებამ. ვეცადნეთ, ყოლივე ღონე ვიღონოთ, რომ იგი ხელ-შეუხებელი ტახტიდგან ჩამოვაბძანოთ.

შეურაცხმყოფი სიმართლე არაფრითა სჯობს შეურაცხმყოფს სიცრუეს. საჯაროდ, ხმა მაღლა არც ერთი არ უნდა ითქვას. ვინც შეურაცხმყოფს სიმართლეს ამბობს, მხოლოდ იმიტომ, რომ სულიერი კმაყოფილება იგრძნოს, მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ნამდვილად მისი სული არავითარის კმაყოფილების ღირსი არ არის. ვინც სცრუობს ვისისამე უბედურის დროს გაჭირვებაში დასახმარებლად, მას ციურნი ანგელოზნი უგალობენ: „აი, მამაცი სული, რომელიც პირად სახელს მოყვასის გულისათვის ითრგუნავსო! დიდება დიდ-სულოვან ცრუსაო!..“ თუ შეურაცხმყოფი სიცრუე საქებურ საქმედ არ ჩაითვლება, არც თუ შეურაცხმყოფი სიმართლეა საქებური. ეს ხომ თვით სასამართლოს კანონებშიაც არის აღნიშნული.

საჭირო და პირდაპირ სიცრუის გარდა, არსებობს კიდევ ჩუმი სიცრუე-მოტყუება, რომელიც გამოიხატება გაჩუმებითა და ამ სიჩუმით სიმართლის დაფარვით. ზოგიერთს თავგანწირულ მართლის მიმდევარს ჰგონია, რომ რაკი სიტყვიერად ხმა-მაღლა საქვეყნოდ სიცრუეს არ ვამბობ, ჩემი მოქმედებაც სიცრუე-მოტყუებას აცილებულიაო. ერთის სიტყვით, სიცრუე აუცილებელი მოთხოვნილებაა, ჩვენ ყველანი ვცრუობთ და არც შეგვიძლიან არ ვიცრუოთ. რაკი ასე საჭიროა, შევისწავლოთ ლამაზი და მოფიქრებული სიცრუე. კეთილისა და არა ბოროტის განზრახვით! ვიცრუოთ სხვისა და არა საკუთარის სარგებლობისათვის! ვიცრუოთ დასამშვიდებლად, სიყვარულით, კაცთ-მოყვარეობით და არა შურის საძიებლად, სხვის შეურაცხ-საყოფელად. ვიცრუოთ სასიამოვნოდ, კეკლუცად, ენა-წყლიანად და არა უდრეკელად, სალახანურად. ყველა ამასთან საჭიროა ვიცრუოთ თავ-აღებით, ვაჟკაცურად, უბეჯითებით, თავისუფლად და არა დარცხვენით, შეშინებული, სახე გაფითრებული, ჩუმად, თითქოს ჩვენის უმაღლესის ნიჭისა გვრცხვენოდეს. მხოლოდ ზემო ჩამოთვლილ პირობათა მტკიცედ აღსრულება შეგვაძლებინებს ჩვენი ქვეყანა განვათავისუფლოთ გადამდებ სენსავით ჩვენდა გამათახსირებლად მოდებულ მართლისაგან! სწორედ მაშინ-ღა შეგვეძლება ჩვენის ქვეყნის საძირკველის შემრყევს სიმართლეს გავუმკლავდეთ და ამით მოვიპოვოთ წარჩინებულ, კეთილ და ღირსეულ მკვიდრთა სახელი, რაიც აუცილებელია ჩვენის პლანეტის ღირს მფლობელთათვის, იმპლანეტისა, რომელთანაც თვით ბუნებაც-კი ჩვეულებრივ სცრუობს, შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში კი, მაგალითად, როცა რაიმე დიდი უბედურება მოგველის, — მაშინ-კი...

მაგრამ მე ჯერ ახალი და სუსტი მოსწავლე ვარ ამ დიადის ხელოვნებისა და როგორ გავბედავ ღირს-პატივცემულს საზოგადოებას რაიმე ვასწავლო.

ხუმრობა გაშვებით და მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად საჭიროა ფილოსოფიურად გამოვიკვლიოთ, თუ რა გვარი სიცრუე შემოვიღოთ, რომ თვალ საჩინო სარგებლობა მოვუტანოთ ქვეყანას და მის ათას გვარ იარას შესაფერი წამალი დავდოთ.

ამასთან საჭიროა გამოვიკვლიოთ, თუ რა მიზეზები უნდა ასცილდეს სიცრუეს, რომ იგი უფრო დაუბრკოლებლად განვითარდეს და განმტკიცდეს.

აი, ამ აზრის ჯეროვანს გამოკვლევას პატივცემულ სწავლულთა საზოგადოებასა ვდებ ვალად, მით უფრო, რომ ეს საზოგადოება წარმოადგენს საკმაოდ მომწიფებულს დაწესებულებას, რომლის წევრნიც, პირფერობით-კი არა, უეჭველად ამ საგნის კლასიკურ მცოდნედ უნდა იქმნენ აღიარებულნი.

ი. კ.

ლახსა და ჯეჯილს — კაცი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა. ასე და ამგვარად, წრევანდელმა წვიმიანმა წელიწადმა უთვალავი მიწის მოსავალი გააფუჭა, აალპა. ამ რიგად სიმინდის მოსავალი წელს მთელს სამეგრელოში საზოგადოდ საშუალოზედ კიდევ ნაკლები მოვიდა. ასეთი მცირე მოსავალია ღომისაც, ფეტვის, ლობიოსი და სხვა. ბევრი სასიმინდეები დარჩა წელს ცარიელი. ამგვარმა მცირე მოსავალმა ხალხი ერთობ დაალონა, დააძმარა. ყოველგან ჩივილი გესმით ხალხში: „დავიღუპენით წელს! ვიშრომეთ, ვიტანჯეთ, დღე და ღამე მოსვენება არა გვქონდა, მაგრამ, დახე, ამ ძუნწს და გაუმეტებელ წლის სიდუხჭირეს, ვერაფერი გამოგვივიდა. რითი გავუძლვეთ ოჯახის ყოველ-დღიურს საჭიროებას, ან სხვა კერძო მოთხოვნილებასა“? მართლაც შესაბრალისია წელს აქაური მხვნელ-მთესველი, რადგანაც უმრავლესობას თითონ ექნება სიმინდი სასყიდელი. სიმინდის მოუსავლობამ ხომ უმრავლესობას გული დასწყვიტა, ღვინის მოსავალმა უკეთესი პირი არ უჩვენა. საზოგადოდ წელს მთელს სამეგრელოში ვაზს („იზაბელა“-ს) მსხმოიარობით ბლომად ესხა ივლისის თვის დამდეგამდე. მაგრამ დადგა თუ არა ივლისი, თავისს წვიმიან დღეებით ყურძნის მარცვალი უჩინრად გააქრო. აქა-იქ თითო ორ-ორი კოკა თუ მოუვიდეთ, მაგრამ კაცს არ დაელევა, ისეთი ამჟავებულია. — რომელი ერთი ინაღვლოს წელს აქაურმა მეურნემ: სიმინდის მოუსავლობა თუ ღვინის, არ იცის?!.

გამუდმებულს წვიმებსა და უმწეოვარს ხილეულობას თან მოჰყვა ათასნაირი ავადმყოფობა, მაგ.: ყვავილი, წითელა, კისერა, ყივანა-ხველა და ეგრედ წოდებული „მუცელ-სიმრთელა“. ამ უკანასკნელმა ხომ საერთოდ წელს, დიდი თუ პატარა, მრავალი გამოასალმა წუთისოფელს. არა ნაკლებ ამისა ინავარდეს პატარა ბავშვებზედ კისერამ და ყივანახველამ. ეს ორი სენი დღესაც დაუცხრომლად ებრძვის უდანაშაულო ბავშვებსა. ციებ-ცხელებამაც ზეზეურად ბევრი დააჭკნო და ლოგინადაც მრავალი ჩააგდო.

ქურდობა და ავკაცობაც ეს სამარცხვინო ხელობა ყოვლის ადამიანისა და მისის პატიოსნების შემბღალველი, აქეთ თითქმის ყოველ დღიური ამბავია. მთელი ეს თვე აგერ ყოველ დღე სწვიმს და თან საკმაოდ ცივა. ელვაქუხილი და სეტყვა ხშირია. მთები უკვე ჩამოთოვა. დღე-დღეზე ბარშიაც მოველით.

ტრიფონ კალანდარიშვილი

# რუსეთი

ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებით, ბელგიის სამრეწველო საზოგადოებათ ამ ჟამად რუსეთში 148 სამრეწველო საქმე სჭერიათ ხელში, რომლისათვისაც 494,306,000 ფრანკი თანხა ჰქონიათ ამათგან 8 სამრეწველო დაწესებულება თავისს ანგარიშებს სრულიად თურმე არ აქვეყნებს, 8 უკვე გააუქმა მოქმედება და 64-ს მხოლოდ შარშან და შარშან-წინ დაუწყია მოქმედება და ამისათვის მათ შესახებ ჯერ არა არის რა გამოქვეყნებული. ამ რიგად ცნობაში მოყვანილია მოქმედება მხოლოდ 73 მათგანისა, რომელთაც საერთოდ 265,686,000 ფრანკი თანხა აქვთ. ამათგან 56 სამრეწველო დაწესებულებას მოგება მოუცია, 17-კი ზარალი. საზოგადოდ კი მოგება ზარალს თურმე სჭარბობს და ბელგიელების მიერ რუსეთში დაბანდებული თანხა 2,7°/₀ წმინდა მოგებას იძლევა.

— რადგანაც რუსეთის საჯარო წიგნთსაცავებსა, სამეცნიერო საზოგადოებათა და მუზეუმებს მეტად მცირე საშუალებანი აქვთ, რომ ყველა საზღვარ-გარედ დაბეჭდილი სამეცნიერო სიტყვა-გაზმული გამოცემანი შეიძინონ და მკითხველს საზოგადოებას საშუალება მისცენ გაეცნონ როგორმე და ამ მხრივ მცირედად აკმაყოფილებენ მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებას მხოლოდ ს.-პეტერბურგის საჯარო და მოსკოვის რუმიანცევისეული წიგნთ-საცავები, ამისათვის საერო განათლების სამინისტროს განუზრახავს მომავალის წლიდგან განსაკუთრებული კომისსია შეადგინოს და ამ კომისსიას მიანდოს მოწყობა იმ საქმისა, რომ აღნიშნული გამოცემანი რუსეთმა და საზღვარ-გარეთის ერთ ერთმანეთში გასცვალონ ხოლმე. თუ რომ ეს საქმე განხორციელდა როგორმე მართლა, მაშინ რუსეთის ყველა წიგნთსაცავს საშუალება მიეცემა აუარებელი გამოცემანი უცხო ერთა უფასოდ მიიღოს ხოლმე.

— მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ამ ჟამად დიდ ზრუნვაშია, რომ ქალთა სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი მალე გახსნას.

— როგორც „Петер. Вѣд.“-ი იუწყება, სრულიად რუსეთის მეფუტკრეთა კრების მოწვევა 1902 წლისთვის თურმე აქვთ განზრახული.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** თითქმის ორ თვეზედ მეტია, რაც სახელმწიფოებს ერთმანეთ შორის ჩინეთის საქმეებისა გამო მოლაპარაკება აქვთ, მაგრამ დღემდე იმათ მორიგებას არაფერი ეშველა. როდესაც სახელმწიფონი ერთმანეთში მორიგდებიან, მაშინ მოლაპარაკება სახელმწიფოთა და ჩინეთის წარმომადგენელთა შორის გაიმართება, ამ რიგად ჩინეთის საქმეს ბოლო არ უჩანს. მოკავშირეთა ჯარს ჩინეთში ამ ჟამად თითქმის არავითარი საქმე აღარა აქვს. ამისდა მიუხედავად მთავარ-სარდალი ვალდერზეე თითქმის ყოველდღე ჰგზავნის რაზმებს ხან ერთის, ხან მეორე ქალაქის ასაღებად და ყოველ დღევე ხელს აწერს ახალ-ახალ ბრძანებებს ჩინელთა სიკვდილით დასჯის შესახებ. ევროპიელებმა პეკინში მოაწყვეს სამხედრო სასამართლო და ისე დღე როგორ გაივლის, რომ რამდენიმე ასი ჩინელი არ დასაჯონ სიკვდილით. მაგრამ სასამართლო მხოლოდ ფორმის გულისთვის გამართეს, უამ სასამართლოდაც ასობით ისტუმრებენ საიქიოსკენ ჩინელებს. წინად უკვე გვქონდა დაბეჭდილი გერმანელ ჯარის-კაცთა წერილების შინაარსი უდანაშაულო ჩინელთა უწყალოდ ჟლეტის შესახებ. აი კიდევ ორი სხვა ასეთი წერილი: „დღეს მოულოდნელად სადილი შეგვაწყვეტინეს. გვიბრძანებს ჩვენ ზღვაოსანთ მივშველებოდით. ტყვედ ჩავიგდეთ 70 ჩინელი, ხელები თოკებით შევუკარით, ნაწნავებით გადავაბით ერთმანეთს და წავიყვანეთ. ზოგი ჩვენგანი ისე უწყალოდა სცემდა ჩინელებს, რომ სისხლი თქრიალით დასდიოდათ. მე ტყვეებს წინ მივუძღოდი და მონაწილეობას არ ვიღებდი ამ ბარბაროსობაში. ტყვეებს ყველას დახვრეტა გადაუწყვიტეს. გზაზედ ორი ჩინელი გაგვექცა, დანარჩენნი-კი დავხვრიტეთ“. მეორე წერილი: „საყვარელო დედავ! არ შემიძლიან აღვწერო ყველა ის, რაც აქ ხდება. გულ-ჩვილი კაცი შეშლილად გაგიჟდება, რომ ჰნახოს როგორ უწყალოდ ვხოცავთ და ვჟლეტავთ ჩინელებს. ისე ექცევიან მათ, თითქოს კაცები კი არა, ძაღლები იყვნენ. ტყვეები არ მიგვყავს, ყველას, ვინც-კი ხელთ ჩაგვივარდება, იქვე ადგილობრივ სიცოცხლეს ვუსალმებით. ხშირად ტყვეების დასაზოგად, თოფებს არ ვესვრით და დანებით თავებსა ვჭრით. კვირას ხიშტებით 74 ჩინელი დავხოცეთ. ერთმა მათგანმა ჩვენი დარაჯი მოჰკლა. მთელი რაზმი გამოუდგა და 74 კაცი შეიპყრო. საოცარი და საშინელი იყო იმათი ჟლეტის სურათი. იმედი მაქვს, დედი, რომ მალე სამშობლოში დამაბრუნებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ჟლეტა-ხოცვას რომ ვხედავ და თვითაც ნება უნებურად მონაწილეობას ვიღებ, დამავიწყდება, როდის ვიყავი კაცი, და მხეცად გადავიქცევი“.

— რობერტსისა და სხვა გენერლების სასტიკმა ზომებმა ბურები უფრო გააბრაზა და უფრო მედგრად შეაბრძოლა მტერს. როგორც გაზეთები იუწყებიან, ბურების ჯარი არამც თუ არ დაშლილა, პირ იქით წინამძღოლებს მეტი მეომარნი შეუკრებიათ და ამას გარდა სულ სხვა გვარად მოუწყვიათ თავიანთი ჯარი. ნელსპრუიტში 4 სექტემბერს გამოქვეყნებულ იქმნა ტრანსვაალის მთავრობის ბრძანება. ამ ბრძანების ძალით თვითეულ რაზმის მეომართა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 500 კაცს და არც 300 ზედ ნაკლები იყოს. თვითეული რაზმი თავისის მხრივ ასას კაცისაგან შემდგარ წვრილ რაზმებად იქმნება დაყოფილი, რომელნიც ერთმანეთის მახლობლად იმოქმედებენ. ბურებს აზრადა აქვთ თურმე ასეთის წვრილის რაზმებით მთელი ტრანსვაალი მოჰფინონ, ყველა კუთხესა, ქალაქსა და სოფელში გაგზავნონ. ამას გარდა მეომარნი დღემდე თვით ირჩევდნენ აფიცრებს, ამიერიდგან-კი აფიცრები უფროსმა გენერლებმა უნდა დანიშნონ ხოლმე. უურადღება მიაქციეს ბურებმა აგრეთვე დისციპლინასაც. რასაკვირველია, ამ წვრილ-წვრილ რაზმებთან ბრძოლა ინგლისის მრავალ-რიცხოვან, ზარბაზნებით, ფურგუნებითა და სხვა ბარგი-ბარხანით დატვირთულ ჯარს ძალიან გაუჭირდება.

## სახალხო სახლის ამშენებელ კომიტეტისაგან

ზარალი და ვნება, რომელსაც მაკარი სასმელები კაცობრიობას აყენებენ, იმდენად დიდი და თვალ საჩინოა, რომ მარტოოდენ გულ-გრილობით აიხსნება ის უყურადღებობა, რომელითაც ჩვენს გარემოში მომხდარ უბედურებათ ვუცქერით და ვურიგდებით. ის გარემოება, რომ მრავალ ქვეყნის მცხოვრებთ გადაგვარება და დედამიწის ზურგიდგან აღგვა მოელით, სულით ავადმყოფთა რიცხვის გამრავლება, გამრავლება აგრეთვე დანაშაულობათა კაცთა სიცოცხლისა და ქონების წინააღმდეგ, რამოდენადმე ხალხთა შორის ალკოჰოლიზმის ძლიერად გავრცელების გამო აიხსნება.

ამ საქმის შესახებ ყველა განათლებულს ერში უკვე დიდი მოძრაობაა: საერთა შორისო კონგრესსები იმართება, ლოთობის მოსასპობად სპეციალურს ორგანოებსა სცემენ, სხვა-და-სხვა ქალაქებში სითხიზღის საზოგადოებათ აარსებენ. თვით სახელმწიფონიც დიდად დაფიქრებულნი არიან იმ უბედურობის წინაშე, რომელიც ხალხის ჯან მრთელობასა და ზნეობას მოელის და ყოველსავე საშუალებას ხმარობენ, რომ კერძო კაცნი როგორმე გამოიწვიონ ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამისათვის 1897 წლის დამლევს ტფილისშიც იქმნა დაარსებული ეგრედ წოდებული სითხიზღის საზოგადოება. მაგრამ რადგანაც საზოგადოების წევრთა უმეტესობას რკინის გზის მსახურნი შეადგენდნენ, ამისათვის აღნიშნულ საზოგადოების მოქმედება კავკასიის რკინის გზის სად. ტფილისით განისაზღვრებოდა.

ორის წლის განმავლობაში საზოგადოებამ გამართა რკინის გზის მთავარსახელოსნოებთან სახაიე და სამკითხველო, რომელთა არსებობაც უზრუნველყოფილია გზის გამგეობის დახმარების წყალობით.

დღეს ამ საზოგადოების წევრნი დარწმუნდნენ, რომ საჭიროა საზოგადოების ასპარეზის გაფართოება და მოქმედების გადატანა ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა შორის.

ამ შემთხვევაშიაც საზოგადოების მოქმედების პროგრამა იგივე უნდა იყოს, რაც აქამომდე იყო — ეცადოს გადააჩვიოს ხალხი სასმელის დუქნებს გონიერ და შესაფერ გასართობების წყალობით, ისეთის გასართობებისა, რომელიც იმის განვითარებასაც ხელს უწყობდეს.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ღარიბი მცხოვრებნი ტფილისისა განათლებას უფრო ეტანებიან. ამ აზრით დაარსებული ერთად-ერთი სახალხო კითხვათა კომისიის ქალაქის შენობა ავჭალის ქუჩაზედ თავისს დანიშნულებას სავსებით ვერ ემსახურება. 250 კაცისათვის აშენებული შენობა წარმოდგენებისა და კონცერტების დროს ხშირად 400-მდე კაცს იტევს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უადგილოდ დარჩენილი ხალხი თეატრის გარეშე რჩება. დროა, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის დიდი ქალაქების მაგალითისამებრ, ტფილისმაც თავისი სახალხო სახლი გამართოს, რომელშიაც უნდა მოთავსდეს ყველა ხალხის განმავითარებელი დაწესებულებანი: აუდიტორია, წიგნთ საცავი, სითხიზღის საზოგადოების წევრთათვის სახაიე, თეატრი და სხ.

ამ აზრით უკვე შეკრებილია 12 ათასი მანეთამდის, მაგრამ საჭიროა ბევრად უფრო დიდი თანხა, რომლის შესაკრებადაც მთავრობისაგან სითხიზღის საზოგადოებას ნება დართული აქვს ხელის მოწერის გამართვა. ამასთან ქალაქმაც დაუთმო მიწა სახალხო სახლის ასაშენებლად.

საზოგადოების თავმჯდომარედ ამ ჟამად იმყოფება ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი ივანე ნიკოლოზის ძე სვეჩინი.

ზემოდ აღნიშნულისა გამო სახალხო სახლის ამშენებელს კომიტეტს სითხიზღის საზოგადოებასთან ერთად იმედი აქვს, რომ დაწყებულ საქმის წარსამატებლად ტფილისის მცხოვრებთა დახმარება და შემწეობა რამდენადმე უზრუნველ ყოფილია. იგი დარწმუნებულია, რომ ტფილისში არა ერთი ორი კაცი აღმოჩნდება, რომელიც გულწრფელ თანაგრძნობას გაუწევს კეთილ საქმეს. საზოგადოება მიჰმართავს მათ და სთხოვს შემწეობას ამ საქმის დასამთავრებლად.

შეწირულებანი სახალხო სახლის ასაშენებლად მიიღება ქ. ტფილისში ქვემორე დასახელებულ პირებთან, რომლებთანაც მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე სითხიზღის საზოგადოების წევრებადაც ჩაეწერნენ, თუ შეიტანენ 3 მანეთზე არა ნაკლებს:

საზოგადოების თავმჯდომარესთან (გუბერნატორის კანცელარიაში).

კომიტეტის წევრებთან:

კნ. მარიამ მარკოზის ასულ თუმანოვისასთან. (ბარიატინსკის ქ., საკუთარი სახლი).

ნიკოლოზ ალექსის ძე სახაროვთან (მიხეილის ქ., პასსაჟი კროშკა № 9).

ნიკოლოზ ალექსის ძე ხუდადოვთან ნიკოლოზის ქ., № 65).

ლევან იაკობის ძე მღებროვთან (ერევნის მეიდანი სახლი გურგენბეგოვასა).

ისაია მარკოზის ძე დოლუხანოვთან (განთვის ქ. სახლი ფრიდონოვისა).

ეგენი პავლეს ძე სოფრონოვთან (ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტორასა და სახლში, ნიკოლოზის ქ. № 99)

ალექსი დეოს ძე კოზლოვთან (ოლქის სასამართლოს შენობაში, სანატარიუსო არხივი).

ალექსანდრე ბოგდანის ძე ევანგულოვთან (ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში და გემნაზიის ვიწრო ქ. საკუთარი სახლი) და შემდეგ გაზეთების რედაქციებში: „კავკაზისა“, „ნოვოე ობოზრენის“, „ტფილისის ფურცლის“, „მშაკისა“, „ივერიისა“, „ცნობის ფურცლის“ და „კვალისაში“.

## სასამართლოს მატიანე

ნიკოლოზ, გედევან და სოლომონ ორჯონიკიძეებისა, სამსონ, ეგივე სოლომონ, შოშიტაიშვილის და პავლე კონდრატიევის საქმე.

(დასასრული *)

სასამართლოში წაკითხულ გარდაცვალებულ მოწმეთა ჩვენებებიდგან საყურადღებოა გრიგოლ ორჯონიკის ჩვენება. (ბრალდ ნიკოლოოზის შვილი); გრიგოლს გამომძიებელთან უჩვენებია, რომ მამი ჩემის ნიკოლოოზის ქონებით მდგომარეობისა ბევრი არა ვიცი-რა; მახსოვს, რომ აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების ჩადენის შემდეგ მამაჩემმა გამგზავნა ლიდა გერჟეცთან ერთად თვის ყოფილ საყვარელ ეკატერინე კონდრატიევისას, რაღაც ყუთის მოსატანად. ყუთი, ვიდრე ხელ-წერილი არ დავტოვე, არ დამანებეს. შინ დაბრუნების შემდეგ ყუთი შკაფში შევინახე. რადგანაც ვიცოდი, რომ საყვარელისგან რაღაც წერილები მოსდიოდა, მინდოდა მენახა, კამოდის ყუთი გამოვაღე, სადაც 1,000 მანეთი აღმოჩნდა და ამოვიღე. ის ფულები მე მოვიხმარე. მამა გამიწყრა, მაგრამ არა მთხოვდა უკან დამებრუნებინა მეორე ჩვენებაში გრიგოლს განუცხადებია, რომ მე 5,000 მან. ამოვიღე ყუთიდგანაო. მამაჩემს ხშირად ვხედავდი მოქეიფეს ცუდ ყოფა ქცევის ქალებთან, მაგრამ ეჭვიც არ მიდია, თუ ის ფულები, რომელსაც მამაჩემი ჰხარჯავდა, იმ დაკარგულ 50,000 მან. ნაწილს შეადგენდაო. თავმჯდომარემ სასამართლოში საქმის გამოძიება დამთავრებულად ჩასთვალა და სხდომა გადასდო პარასკევს, 27 ოქტომბრის 10 საათამდე.

პარასკევს, 27 ოქტომბერს, თავმჯდომარის წინადადებით ბრალმდებელის ამხანაგი ბ-ნი მოსევიჩი და ბრალდებულთა ვექილნი შეუდგნენ სიტყვების წარმოთქმას. ბ-ნ მოსევიჩმა თითქმის ორი საათი ილაპარაკა. შემდეგ სიტყვანი წარმოსთქვეს ნიკოლოზ ორჯონიკის ვექილმა

*) იხ. „ივერია“ № 236.

ბ-ნმა ამირხანოვმა, გედევან ორჯონიკიძის ვექილმა თავ. ი. ბარათაშვილმა, სოლომონ ორჯონიკიძის ვექილმა ბ-ნმა ყანჩელმა და შოშიტაიშვილისა და კონდრატიევის ვექილმა ბ-ნმა გ. გვაზავამ.

ოლქის სასამართლომ $2\frac{1}{2}$ საათის განმავლობაში თათბირის შემდეგ, საღამოს 6 საათზედ გამოიტანა განაჩენი, რომლითაც, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დამნაშავედ იქ ნენ ცნობილნი ნიკოლოოზ, გედევან და სოლომონ ორჯონიკიძენი და სამსონ შოშიტაიშვილი, რომ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდგან 1897 წლის 8 აგვისტოს 50,000 მანეთი მოუპარავთ და ამისთვის ყალბი ბეჭედი და პარკი გაუკეთებიათ, ხოლო პავლე კონდრატიევი, რომ ეს დანაშაული დაუფარავს და ამისათვის გარდაეწყვიტათ: ხუთივეს ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ნიკოლოოზსა და გედევანს ენისეის გუბერნიაში გადასახლება სამუდამოდ, ხოლო სოლომონს ტომსკის გუბერნიაში; სამსონ შოშიტაიშვილს 1 წლის ვადით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო პავლე კონდრატიევს ციხეში 1 წლის ვადით დაპატიმრება. თავდებობით განთავისუფლების ნება სასამართლომ მისცა მხოლოდ კონდრატიევს, თუ 5,000 მანეთის თავმდებს წარადგენს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთ ამერიკულ ნახატებიან ჟურნალში მოთავსებულია შეერთებულ შტატების ახალი კარტა, რომელსაც ამერიკელები დიდის სიამაყით ათვალიერებენ თურმე. ეს კარტა გვიჩვენებს, რომ ამერიკის მიწა-ადგილი სივრცით ბევრით აღემატება სხვა სახელმწიფოების მიწა-ადგილს. კარტა შედგენილია ჯონსონის მიერ. იგი ორის ფურცლისაგან შესდგება, ერთზედ მოთავსებულია შეერთებულ შტატების კარტა, მეორეზედ სხვა ქვეყნებისა საჭირო ციფრებით. ამ ციფრებიდგანა სჩანს, რომ შეერთებული შტატები 19-ჯერ დიდია საფრანგეთზედ და 32-ჯერ ინგლისზედ. მარტო ერთი შტატი ტენასი სივრცით უდრის შემდეგ სახელმწიფოებს, ერთად აღებულს: ბელგიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას, პორტუგალიას, ოსმალეთს, რუმინიას, ბოლგარიას, სერბიას, საბერძნეთს და პალესტინას. მარტო კალიფორნია 6-ჯერ საბერძნეთს და 13-ჯერ ჰოლანდიას აღემატება.

* * *

ერთის ჟურნალის კორესპონდენტი დაწვრილებით აგვიწერს პარიჟის გამოფენის სათამაშოთა განყოფილებას. ეს სათამაშოები გამოფენაზედ განყოფილებებათაა დანაწილებული და თითო განყოფილება თითო საუკუნეს წარმოადგენს, ასე რომ მნახველის თვალ-წინ ამ სათამაშოების წყალობით კაცობრიობის მთელი ისტორია იშლება. „განსაკუთრებით მდიდარი იყო სათამაშოებით, მოგვითხრობს ავტორი, მე-XVII, XVIII და XIX საუკუნოები. საშუალო საუკუნოებმა ცოტა სათამაშოები დაგვიტოვეს. სათამაშოები ხშირად საზოგადოების ცხოვრების ნამდვილი სურათია. საშუალო საუკუნოების რაინდის პატარა ბავშვი, რომელიც შემდეგ პაჟი უნდა გამხდარიყო, ელაზღანდარებოდა ტიკინს, რომელიც პაჟს წარმოადგენდა, და თამაშობდა პაჟობანას, ისევე, როგორც ეხლა ჩვენი ბავშვები მასწავლებლობანას თამაშობენ ხოლმე. ტიკინს ყველა ხანაში ვხედავთ. დარწმუნებული ვართ, რომ სათამაშოები, თუ-კი კაცი დააკვირდება და ეცდება იმათ შესწავლას, ნათელს მოჰფენენ კაცის ბუნებას და კაცობრიობის ისტორიას. დიდის ყურადღებით დავათვალიერე ლიუდოვიკო XI-ს დროის ტიკინები, რომელნიც დინჯ, ამაყ მანდილოსნებს წარმოადგენენ. სხვა დროის ტიკინებსაც განსაკუთრებული, იმ ხანის შესაფერი, ბეჭედი აზის“.

* * *

მიუნჰენში ამას წინად გარდაიცვალა ვინმე კარლოს ნოისსერი. ნოისსერი მთელ დედამიწაზედ ყველაზედ გამხდარ კაცად ითვლებოდა. იგი არტისტი იყო, ევროპა და ამერიკა მოვლილი ჰქონდა, ამიტომ ბევრგან იცნობდნენ. პირველად ეს არტისტი კომიკურ კუპლეტებს ასრულებდა. რადგანაც სასაცილო გარეგნობას უფრო აღტაცებაში მოჰყავდა საზოგადოება, ვიდრე კუპლეტებს, ნოისსერმა ბოლოს კუპლეტებსაც თავი მიანება და სცენაზედ უსიტყვოდ გამოდიოდა ხოლმე. განსაკუთრებით სასაცილო სანახავი იყო ეს გამხდარი და ძვლად ქცეული კაცი მაშინ, როდესაც თავით ფეხებამდე ტრიკოში გამოწყობილი გამოდიოდა სცენაზედ და დასეირნობდა. ნოისსერი 87 გირვანქას იწონიდა.

* * *

ამას წინად პეტერბურგში ჩასულა ვინმე თ. მ. მირონოვი. ამ მირონოვს ფეხით თითქმის მთელი დედამიწა შემოუვლია. ახალგაზდობაში მირონოვი ზღვაოსნად ყოფილა, შემდეგ იმიერ-კასპიის რკინის გზაზედ ობერ-კონდუქტორად მიუღიათ; მაგრამ მალე სამსახურისთვის თავი მიუნებებია და ფეხით მგზავრობას შესდგომია, ჯერ ამერიკაში ყოფილა, მერე 1891 წ. ვლადივასტოკში წასულა და ორის წლის შემდეგ შესდგომია ფეხით მგზავრობას. ვლადივასტოკიდგან პეტერ ბურგში ფეხით მისულა. 1896 წელს პარიჟში წასულა, გაუვლია ფეხით ორენბურგი, ტაშკენტი, მარგელანი, ბუხარა 1897 წელს სამშობლოში, ტამბოვის გუბერნიაში დაბრუნებულა. 1897 წელს გაუვლია ციმბირი, მონგოლია, მანჯურია, ყოფილა ციციკარსა, ხულანჩენსა, ხარპინსა, გირინსა, მუკდენსა, ინკოუსა, ნიუ-ჩვანგსა, პორტ-არტურსა, ტიან-ძინსა, ჩიფუსა და მრავალ სხვაგან. ზღვით იაპონიაში გადასულა, შემდეგ ციმბირში დაპრუნებულა და მერე ჩუგუჩაკსა და კულჯაში ყოფილა. მირონოვს კარგადა სცოდნია ინგლისური, ჩინური და სარტული ენები. ჩინეთი ძალიან მოსწონებია; ჩინელებისთანა მშვიდობის მოყვარე და გულ-კეთილი ხალხი სხვაგან არსად მოიპოვებაო, ამბობს თურმე. მგზავრობის დროს მირონოვი მანდარინის ტანისამოსს ატარებდა, ბაშფორთშიაც გენერლად იყო მოხსენებული, ამიტომ ჩინელები დიდის პატივით ექცეოდნენ თურმე. ბაშფორთის გადათარგმნის დროს ჩაუმატებიათ გენერლის წოდება მანჯურიის რკინის გზის უფროსს ინჟინერის ბრძანებით. ეხლა „გენერალი“, მონგოლელის ტანისამოსში გამოწყობილი, ტიბეტში აპირობს წასვლას და იქ დალაი-ლამის ნახვას. მირონოვი ამ ჟამად 54 წლის კაცია. მგზავრობის დროს ბევრი განსაცდელი და გაჭირვება გამოუვლია მირონოვს: ერთ ადგილას ვეფხვი დასცემია თავს, მეორე ადგილას დათვებთან მოსვლია შეტაკება, ორჯელ კინაღამ მდინარეში დამხჩვალა, ბევრჯელ მშიერ-მწყურვალი ყოფილა და სხვა.

* * *

რამდენ ნაირ ცნობებს არა ჰკრებავენ ეხლანდელი სტატისტიკოსნი. ერთ ამ ვაჟბატონთაგანს შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ ევროპის გვირგვინოსანნი რამდენს იწონიან. ყველაზედ მძიმე პორტუგალიის მეფე დონ-კარლოსი გამომდგარა, რომელიც 92 კილოგრამმას (კილოგრამმა 2 გირვანქა 42 მისხალია) იწონის, ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი—$87\frac{1}{2}$ კილოგრ., შვეციის მეფე ოსკარი—80 კილოგრ., ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები—70 კილოგრ., იტალიის მეფე ვიქტორ ემმანუილი—66 კილოგრ., ბელგიის მეფე ლეოპოლდი—65 კილ., ნიდერლანდიის დედოფალი ვილჰელმინა—75 კილოგრ. ($4\frac{1}{2}$ ფუთს), ესპანიის მეფე ალფონსი—45 კილოგრ., რუმინიის დედოფალი ელისაბედი—82 კილოგრ. ამდენსავე იწონის საფრანგეთის პრეზიდენტი ემილ ლუბე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოქტომბერი

**მოსკოვი.** დღეს გადიხადეს ასის წლის საიუბილეო დღესასწაული ერთ მორწმუნეობისა. ერთ-მორწმუნეთა ტაძარში მწირველი მიტროპოლიტი ვლადიმირი ბრძანდებოდა ერთ-მორწმუნეთა სამღვდელოებითურთ. მიტროპოლიტმა ერთ-მორწმუნეთ უწმიდესის სინოდის ეპისტოლე წაუკითხა.

**ყაზანი.** ნიჟნი ნოვგოროდსა და ყაზანს შორის გემების მიმოსვლა შესწყდა.

**პარიჟი.** ჩინეთის საქმეთა შესახებ „ყვითელი წიგნი“ უკვე დარიგდა, რომელშიაც 362 საბუთის ქაღალდია მოქცეული 17 ოქტომბრამდე. საბუთის ქაღალდებს შეადგენს ის ნოტები, რომლებიც საფრანგეთმა ამ საქმის შესახებ ან მიიღო ან გაუგზავნა უცხო სახელმწიფოდ. ყველა ეს საბუთის ქაღალდები უკვე ცნობილი არიან. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ანგარიში პიშონისა იმის შესახებ, თუ პეკინში მყოფი საელჩოები როგორ იყვნენ მტრისაგან გარემოცულნი. პიშონი ამტკიცებს, რომ საელჩონი მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებამ იხსნა, რაიცა შეუძლებელი იყო აღრევე გაგვეთვალისწინებინაო. უმთავრეს დამნაშავედ პიშონი პრინც ტუანსა, გენერალს ტუნფუნძიანსა და სახელმწიფო მდივანს კანიის ასახელებს.

**შანხაი.** ჩინეთის მთავრობამ ფორმალურად აღუთქვა იანძხეს ველის მეფის მოადგილეთ, რომ შანხაის ტაოტაი დათხოვნილი არ იქმნება.

პაოტინფუში ჩადენილ სისხლის ღვრაში დამნაშავე მანდარინები დახვრიტეს.

ჩინეთის გაზეთები იუწყებიან, რომ საიმპერატორო სხდომას შიში აქვს მოკავშირეთა ექსპედიცია სინანფუში არ მივიდეს და ამის გამო ჩინეთის ჯარი ჩჟანტეფუში იქმნა გაგზავნილი, რომ, თუ მართლა მოკავშირენი მიუახლოვდებიან, წინააღმდეგობა გაუწიონ.

**ლონდონი.** რობერტსი იუწყება იოჰანნეს-ბურგიდგან, რომ პოლკოვნიკი ლეგალლე 23 ოქტომბერს ბოტავილის სამხრეთით ბურებს მოულოდნელად თავს დაესხა და სრულიად დაამარცხაო. მტერს წავართვით ექვსი ზარბაზანი და მთელი საომარი მასალა. ასი ბური ტყვეთ წავიყვანეთ, 25 მოკლულია, 30 დაჭრილი. ინგლისელთა შორის მოკლულია სამი აფიცერი და მათ შორის თვით პოლკოვნიკი ლეგალლეც და 8 ჯარის-კაცი. დაჭრილია 7 აფიცერი და 26 ჯარის-კაცი. ბრძოლის ველზედ მყოფნი პრეზიდენტი შტეინი და გენერალი დევეტი სწრაფად განშორდნენ.

**ბლუმფონტეინი.** 12 მილის მანძილზედ ბურები ორს ფერმას დაესხნენ და დაჰფირეს.

28 ოქტომბერი

**ბერლინი.** ვალდერზეე იუწყება, რომ რკინის გზა შანჰაიგუანსა და ტანსაკუნს შუა უკვე შეკეთებულ იქმნა და მატარებლები დადიანო; იმედი გვაქვს, რომ დეკემბრის ნახევრამდე ტონკუმდენაც იქმნება გზა შეკეთებულიო.

ნორმანის ჯარი 24 ოქტომბერს გარლონში დაბრუნდა. ჯარმა იარაღი ჰყარა და გაჰფანტა გუანსინთან ჩინეთის დარაზმულ ჯარის ოთხი ბატალიონი.

**ლონდონი.** გილდგოლე. სალისბიურიმ, სამინისტროს სადღეგრძელოს საპასუხოდ, სიხარული განაცხადა აფრიკაში ჯარის გამარჯვების გამო და სიმწუხარე—ომში მოკლულ და ავადმყოფთა გამო; საკუთრივ მოიხსენია ამასთან პრინცი ქრისტიან-ვიქტორი. პირველი მინისტრი იცავდა სამინისტროს, რომელმაც 6,000 მილის სიშორეზედ 300,000 გაგზავნა შესძლოო. მთავრობა მზადაა შეასწოროს ამ სამინისტროს შეცდომანი. ომმა უცხო-ქვეყნელთა თვალში გაადიდა ინგლისის ახალ შენთა მნიშვნელობაო. შემდეგ მოიხსენიე მეგობრული განწყობილება, ინგლისსა და ამერიკას შორის არსებული, და სიამოვნება განაცხადა მაკ-კინლეის ხელ-ახლად არჩევის გამო. როდესაც ჩინეთზედ ჩამოაგდო ლაპარაკი, სალისბიურიმ განაცხადა. არ შემიძლიან თავისუფლად ვილაპარაკო და განვაცხადო ყველაფერი, რადგანაც ინგლისი მოკავშირეთა სახელმწიფოთა კრებულის ნაწილს შეადგენსო. კონცერტის ერთ განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს მშვიდობიანობის დაცვა ევროპის სახელმწიფოთა შორის, მეორე თვისებას—ჩინეთის საქმის გადაწყვეტის გადადებაო. სალისბიური ჰფიქრობს, რომ ინგლისს გერმანიის ხელ-შეკრულება ინგლისის მოკავშირე სახელმწიფოთა უმრავლესობის სურვილს ჰხატავს; იგი ორს საყურადღებო პირობას შეიცავს, სახელდობრ: იმ სურვილს, რომ ჩინეთი ხელ-უხლებელი დარჩეს, და ვაჭრობისათვის კარი ღია იყოს. სალისბიურის აზრით სასიხარულოა, რომ სახელმწიფონი თანახმანი არიან ამ მთავარ პრინციპებისა. ამის გამო საფუძველი არ არის განსაკუთრებულ შიშს მოველოდეთ ჩინეთის საქმისაგან, საჭიროა მხოლოდ ჩინეთს თვალ-ყური ედევნოს, დახმარება აღმოეჩინოს, რათა იგი წესიერ რეჟიმს აღყვავების გზას დაუბრუნდეს, რისთვისაც საჭიროა სხვა სახელმწიფოთა მომხრობა იმ იდეის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც ამბობს, ვითომ დადგა დრო ჩინეთის დანაწილებისაო. სალისბიურიმ შემდეგ ილაპარაკა ინგლისის დაცვის საშუალებათა შესახებ და სთქვა, საჭიროა მოვარიდოთ ჩვენ სახელმწიფოს ის დაბრკოლებანი, რომელნიც მშვიდობიანობის საქმესა და სოციალურ რეფორმათა განხორციელებას ხელს უშლიანო.


## ანცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

აუწყებს საზოგადოებას, რომ ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში გაიხსნა თავისუფალი გაკვეთილები გალობისა. ამ გაკვეთილების მიღების მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ქალაქის გამგეობას.

(3—6.—3)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია**: დიდი ჰქა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—3)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე